# სახალხო გაზეთი

№ 726 ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი 1912 წ. № 726

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარიკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## კანტორისაგან

1912 წ. ³/ₑ ემია „გრდემლის" მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**


**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


ხვალ, პარასკევს, 19 ამა ოქტომბერს, დილისით ანჩისხატის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

### დეკანოზ. ალექსანდრე კირილეს ძის ზუმბულიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ **განსვენებულის ქვრივი პელაგია როსტომის ასული შვილებითურთ.** წირვა დაიწყება 9 საათზე. 736.

პარასკევს, 19 ოქტომბერს, ქ. ფოთში ადგილობრივ, სასაფლაოს ეკლესიაში **გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი** განსვენებულის

### ალექსანდრე პავლეს ძის წურქავას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ღრმად დამწუხრებულნი **ქვრივი, ნადია ივანეს ასული,** შვილები **ქოკი, ვალოდია** და **დათო,** დედ-მამა გარდაცვალებულისა **ალათი** და **პავლე,** დები: **ეფროსინე თუთბერიძისა, მართა, პახიკო, ვალერია** და ძმა **ლავრენტი წურქავები,** დისწული **გრიშა თუთბერიძე.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი ნაშუადღევის 4 საათზე. 2905.

**შუშანიკა და პელაგია სიმონის ასულნი ლაშაურნი, დეკანოზი ალექსანდრე იოსების ძე სიმონოვი, მეუღლე მისი მარიამ გრიგოლის ასული, ოლღა იოსების ასული დავიდოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 15 ამ თვისას ქ. გორში, პირველნი—მამისა, ხოლო მეორენი—სიძისა, გორის მიძინების საკრებულო ტაძრის მღვდლის

### სიმონ იოსების ძის ლაშაურისას

პანაშვიდები საღამოს 6 საათზე. 737

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, 1912 წ.**

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **პირველად ორიგინალური პიესა ვალ. შალიკაშვილისა**

### გადამწარილი მუხა, 4 მოქმედებად.

**ამ პიესისათვის დამზადებულია ახალი დეკორაციები.**

**მონაწ.** ღებულობენ: ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქვიძე, სარაული, ციციშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

**ანონსი:** კვირას, **21 ოქტ.,** წარმ. იქნება ცნობილი ისტორიული დრამა ვას. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან".

1541. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი** ✦ ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 8. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დილაუბ 1049

### ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნოში

**მიიღებენ შესაკერად კაბებს:** ქალებისას და ბავშვებისას ხელმისაწვდომ ფასებში. იქვე მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს აბრეშუმით ნაკერსა და საცვლებზე ნიშნების (მეტკების) ამოკერვას.

გაბაშვილთ ქუჩა № 3. 729.

### ანასტასია გედევანიშვილის საბავშვო ბაღი,

**რომელიც იმყოფება სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში,** მეცადინეობა დაიწყება ამა წლის 23 ღვინობისთვიდან.

მშობლებს, ვისაც ჰსურთ მიაბარონ ბავშვები სთხოვენ მობრძანდნენ პარასკევს, 19 ღვინობისთვეს, საღამოს 6 საათზე, 1911/12 წლის ანგარიშის მოსასმენად და მომავალ სამოსწავლო წლისთვის კომიტეტის ასარჩევად.

ბავშვები მიიღებიან 5—7 წლამდე. 735.

• შეიძლება დაკვეთა:

### ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

**ქუთაისში**—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
**ფოთში**—იონა მეუნარგიასთან.
**სამტრედიაში**—ბ. ი. სტურუასთან.
**სიღნაღში**—ექ. ჯანდიერთან.
**სოხუმში**—ნიკო თავდგირიძესთან.
**ჭიათურაში**—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
**თელავში**—თამარ აბაშიძესთან.
**ხონში**—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
**ბაქოში**—ილია აგლაძესთან.
**ოზურგეთში**—ექ. დიმ. ერისთავთან.
**ერევანში**—ელენე ვირსალაძესთან
**ბათომში**—ს. მდივანთან. **კავკავში**—სოფიო კალანდარაშვილთან.
**გორში**—ნიკო ლომაურთან. **ახალციხეში**—როზალია ბელიაშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1158

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძალაუბის ქუჩა, ხაჭუთ. სახლი, № 7, მეტეხის ხიდთან და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღლაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

**ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თაკაიშვილი ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი. შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

### საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ტაალოზლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. **უმორჩილესად** ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

**დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს**

### გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ.** 7—92. 724

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი** ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

**ბოჟოვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი** ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ დღ., ქვ გარდა 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინაწინვე ჩაწერით. 366.

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურ-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"** 1018

**ექიმი** ივ. გომართელი **დაბრუნდა** და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვერაზე, ოლღას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

**ექიმი** ი. ი. ზერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ბოთშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათამანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1530

**ექიმი** ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბავშვო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 2. ს. გაბაშვილისა.

**ექიმი** ს. ი. ბძელიშვილი შინაგანისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დილისით: 2—4 საათამდე ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

**ექიმი** კბილისა ნინო ჩიხლაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

## ტფილისი, 18 ოქტომბერი

**სამწუხარო მოვლენა.** არჩევნების გამო ხან ქუთაისში და ხან ტფილისში გამოდის ხოლმე დრო-გამოშვებით „ალმანახები". ნუ შეეშინდება მკითხველს. ჩვენ აზრად არა გვაქვს **არსებითად** პასუხი გავსცეთ თუნდა ერთის წერილს მაინც. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ საზოგადო კილო ამ ალმანახებისა. იქ თქვენ ნახავთ ჩვეულებრივ საპოლემიკო მარგალიტებს. მაგრამ არის მრავალი რამ ისეთიც, რაც არასოდეს არა ყოფილა და რისთვისაც ჩვენი მოწინააღმდეგენი იძულებულნი გახდებიან პასუხი აგონ მაშინ, როდესაც საარჩევნო ციებ-ცხელება გაივლის, თუ კიდევ შერჩენიათ გრძნობა პასუხისმგებლობისა.

ზემოხსენებულ „ალმანახებში" შეჰხვდებით ასეთს სიტყვებსაც: „ოხრანნიკები", „დანოსჩიკები", „პროვოკატორები". დამეთანხმება მკითხველი, რომ ისინი, ვინც ასე სწერენ, ღირსნი არ არიან სერიოზული ყურადღებისა. ცხადია, ამ ჟამად ჩვენ საქმე გვაქვს არა ნორმალურ ადამიანებთან, რომელთა ყველა ორგანო შეთანხმებულად მუშაობს, არამედ სულით ავადმყოფებთან. ჯგუფი, რომელიც ამნაირს საშუალებებს მიჰმართავს მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად, რომელიც საბუთებისა და დალაგებულ მსჯელობის ნაცვლად უაზრო სიტყვებს ისვრის, ღირსი არ არის იმისი, რომ სერიოზულმა ადამიანმა სათვალავში ჩააგდოს. სად, რომელ ქვეყანაში გაგონილა ასეთი პოლემიკა? სად არა ყოფილა იდეიური შეხლა-შემოხლა, რანაირი მოწინააღმდეგენი არ შეტაკებულან არჩევნების დროს? მაგრამ არსად მებრძოლი ჯგუფი იმნაირს გათახსირებამდე არ მისულა, სადამდისაც ჩვენი მოწინააღმდეგენი მივიდნენ.

ეს უკვე შეურაცხყოფაა არა მათი, ვისაც ისინი „ოხრანნიკებს" ეძახიან, შეურაცხყოფაა რთული ქართველი მკითხველი საზოგადოებისა, შეურაცხყოფაა ამომრჩევლებისა, შეურაცხყოფაა პრესისა. გვეცოდებიან არა ჩვენი მოწინააღმდეგენი,—მათ, სულ ერთია, საავადმყოფოს მეტი ვერაფერი უშველის,— გვეცოდება ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ამ სულით ავადმყოფთა ნაწერებსა ჰკითხულობს და ნებას აძლევს, მის ზურგზე ითარეშოს. ერუანტელს დაუვლის ადამიანს, როდესაც გაითვალისწინებს, სადამდის გადაგვარებულ ყოფილან ჩვენი მოწინააღმდეგენი, რანაირ გონებრივსა და ზნეობრივ სიკოტრემდე მისულან. განა დასაჯერებელია, რომ იყოს თუნდა ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ზემოდ დასახელებულ ალმანახის წაკითხვის შემდეგ ზიზღს არ იგრძნობს? განა დასაჯერებელია, რომ არიან კიდევ ისეთები, რომელთაც ამ სულით ავადმყოფთა სიტყვა სჯერათ? საცოდავია ის საზოგადოება, რომელსაც მეთაურებად ავადმყოფები გაუხდია.

აქ უკვე საქმე იმას კი აღარ შეეხება, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი ატეხილ ბრძოლაში.

საქმე იმაშია, რომ მთელი ეს საარჩევნო კომპანია ჩვენი მოწინააღმდეგებისა ამჟღავნებს ჩვენს ძირითად ტკივილებს: ამჟღავნებს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოების აზრი დატყვევებული ჰყოლია სულით ავადმყოფებს, ფსიხიკურადა და ფიზიკურად გადაგვარებულებს, დეგენერატებს.

მხოლოდ დეგენერატებს შეუძლიანთ გამოსცენ ისეთი „ალმანახები", რანაირიც ქუთაისსა და ტფილისში გამოდის. ვისაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ბედიღბალი აინტერესებს, უნდა სათანადო ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას და რამე იღონოს ავადმყოფთა განსაკურნებლად.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** პეტერბურგიდან ტფილისში შაბათს, 20 ოქტომბერს, ჩამოვა.

✦ **ტრამვაის გამოსყიდვა.** ტფილისში ჩამოვიდა ინგლისელ კაპიტალისტთა წარმომადგენელი ვ. ა. ბერნშტეინი, რომელმაც ქალაქის გამგეობას განუცხადა, ხელს შეგიწყობთ, რომ ტრამვაი ახლავე გამოიყიდოთო. ტრამვაი, რომელიც ბელგიის უსახელო საზოგადოებას 28 მილიონი ფრანკი დაუჯდა, ბერნშტეინის სიტყვით, შესაძლებელია ქალაქმა გამოისყიდოს. 5 მილიონი მანეთად, ნაღდ ფულად. ბერნშტეინი თანახმაა ეს 5 მილიონი ქალაქს სესხად მისცეს იმ პირობით კი, რომ ქალაქმა ტრამვაი შემდეგ მას იჯარით მისცეს, ბერნშტეინის წინადადების განსახილველად ქალაქის გამგეობას საგანგებო კრება ექნება.

✦ ხმოსანმა ი. ს. ჯაბადარმა ქალაქის გამგეობაში წინადადება შეიტანა: შეტანილ იქმნას მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვაში 3,000 მან **ქალაქის აგრონომის მოსაწვევად**, რომელიც მოუვლის და დაამუშავებს აუარებელ საქალაქო მიწას.

✦ 19 ოქტომბერს ბერძნული დრამატიული დასი სახალხო სახლში სეზონს იწყებს.

✦ **ფრინველთა გამოფენა.** გუშინ ტფ. „კრუჟოკ"-ის საზაფხულო შენობაში ფრინველთა გამოფენა გაიმართა.

✦ **არჩევნების გარშემო.** 19 ოქტომბერს კრება ექნება ტფ. სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელიც განიხილავს უკანასკნელს არჩევნებს.

✦ ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ დაასრულა ორსართულიანი ქვის შენობა, სადაც მოთავსდება მოხუც და დაუძლურებულ მასწავლებელთათვის **თავ-შესაფარი.** შენობა აგებულია საბურთალოზე, მუშტაიდის პირდაპირ და ჯერ-ჯერობით განზრახულია 15—20 ადამიანისათვის ბინა, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ეხლა საჭიროა შიგნით მოწყობა, რასაც უნდა 4,000 მან. ამ თანხის შეგროვებას საზოგადოება აპირებს შემოწირულებებით და საქველ-მოქმედო წარმოდგენების შემწეობით.

✦ შუამდგომლობა აღიძრა, რომ ტფილისში დაარსდეს ნოტარიუსების სამი ახალი თანამდებობა.

✦ დღეს, 18 ოქტომბერს, რუსეთის უძველეს მაღაროების გრუშევსკის ანტრაციტის მაღაროს 50 წლის თავის შესრულების გამო საბირჟო კომიტეტმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

✦ **რედაქციამ მიიღო** ახალი წიგნი **ზ. ჭიჭინაძისა „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. გუჰაჯირი-ემიგრაცია"** გამოცემული იაკ. ალექ. მანსვეტაშვილის საფასით. წიგნი საშუალო ზომის 314 გვერდს შეიცავს, სუფთად და კარგ ქაღალდზეა ნაბეჭდი და ათი შაური ღირს.

✦ ორშაბათს 22 ოქტომბერს, ტფილ. საბირჟო კომიტეტის კანცელიარია და ტფილისის ვაჭართა მამასახლისის კამერა გადავა ახალ შენობაში წურინოვის პასაჟში.

✦ 16 ოქტომბერს ტფილისში 24 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მომავალ კრების გამო.** კრების ბიუროს წევრობის სურვილი ჯერ-ჯერობით 40 კაცმა გამოაცხადა, ხოლო ექსკურსიებში მონაწილეობისა — 58 კაცმა.

— ტფ. რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი ა. ფ. ლიაისტერი ნამესტნიკმა კრების მომწვევ კომიტეტის წევრად დაამტკიცა.

— კრების მოსაწვევ ხარჯების დასაფარავად ტფ. ქალაქის საბჭომ 500 მ. გადასდო.

✦ **მებამბეთა კრების გამო.** კრების ბიურომ დღემდე 56 მოხსენება მიიღო სხვა და სხვა პირისა და დაწესებულებისაგან.

— კრებაზე თავის წარმომადგენლად საბირჟო კომიტეტმა პ. ს. ღამბაროვი აირჩია.

✦ **საბირჟო კომიტეტის** კრება დღეს მოხდება.

✦ **საარქეოლოგიო საზოგადოების** კრება 20 ოქტომბერს მოხდება საგეოგრაფიო საზოგადოების სადგომში.

## სასამართლო

✦ 16 და 17 ოქტომბერს სასამართლო პალატაში სენატის განკარგულებით ხელმეორედ გაირჩა საქმე სტუდენტ ვლადიმიროვისა, რომელსაც ცოლის დაღრჩობა ჰბრალდებოდა. როგორც ვიცით, ოლქის სასამართლომ იგი გაამართლა, პალატამ პროკურორის პროტესტის გამო, მიუსაჯა 6 წლის კატორღა. სენატმა საქმე დააბრუნა და გუშინ პალატამ ბრალდებულს მიუსაჯა ღირსების ჩამორთმევა და 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ციხეში წინასწარი ჯდომა 1 წელიწადი ჩაეთვლება.

## გორი

✦ ექიმმა მ. ს. კობერიძემ თავის საავადმყოფოსათვის მოიწვია ახალგაზდა ექიმი ბ. **გიორგი ხირსელი**, რომელიც უკვე მოვიდა გორში და შეუდგა მუშაობას.

✦ დღეს თვრამეტ ოქტომბერს საღამოს 7 საათზე გორის ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოხდება რწმუნებულთა ჩვეულებრივი სხდომა. („ქართლი").

## სოფლად

✦ **ბორჯომი:** ორშაბათს 15 ოქტომბერს ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ, ბორჯომში გარდაიცვალა პოლიტიკურად გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ქ-ნი ეკატერინე მანუჩარის ასული გოგაბერიძე.

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.**

საგუბერნიო კომისიამ დაარღვია ფოთის ქალაქის არჩევნები, სამაზრო კომისიის დადგენილება ქუთაისის საქალაქო არჩევნებისა დაამტკიცა. სოც.-დემოკრატებმა სიაში, გეგეჭკორის მაგიერ, სერაპიონ მიქაძე შეიტანეს.

# ჟურნალისტის დღიური

92.

**უმეცარი მედიდურობა.**

უმეცრება ყოველთვის მედიდურია, ნამდვილი ცოდნა კი თავმდაბალი. ცოდნა სწორედ იმითია კარგი, რომ იგი დაუსრულებელ ძიების სურვილს უღვიძებს ადამიანს და მის გონებას მუდამ ინტენსიურ მუშაობის მდგომარეობაში ამყოფებს. ამისთანა ცოდნით აღჭურვილი ადამიანი თავის დღეში მედიდური არ იქნება. პირ-იქით, თავის მოძმეთა შეცდომანიც კი მისთვის ისეთი რომ იქნება, რასაც შესწავლა და დაკვირვება უნდა. ცოდნის ნაგლეჯებით აღჭურვილი ადამიანი კი კმაყოფილია იმ მცირედითაც, რითაც ბუნებას დაუჯილდოვებია იგი. ყალბს ცოდნას მასში მოუკლავს თვით **ინტერესი** ცოდნისადმი. მან უკვე ყველაფერი იცის, აღარაფერია ისეთი, რასაც მისი ვიწრო ფარგლებში მომწყვდეული გონება არ მისწდომოდეს.

ასეთი აზრები მომივიდა თავში, როდესაც გაზეთ „ზაკავკაზიე"-ში წავიკითხე წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნ კონსტანტინე ანდრონიკაშვილისა. მოგვყავს ამ წერილის ერთი ადგილი: „კონსტანტინე ანდრონიკაშვილის პიესის რეცენზიაში ავტორი, უსაყვედურებს რეჟისორს ვლ. ალექსი-მესხიშვილს, მგონია, პიესის უყურადღებოდ დადგმის გამო. (ვამბობ, მგონია,—ვინაიდან ერთხელ მიღებულ ჩვეულებისამებრ ქართულ თეატრზე დაწერილ რეცენზიებს არა ვკითხულობ):

ამასა სწერს **ქართულ** რეცენზიების შესახებ **ქართული** თეატრის რეჟისორის თანაშემწე. აზრი ამ წერილისა ერთად ერთია: მე იმდენად მაღლა ვსდგევარ ქართულ პრესაზე, რომ მისი აზრი არც კი მეინტერესებაო. ასე ბრიყვულად და ხეპრულად უმეცრებას ჯერ თავისი თავი არ გამოუმჟღავნებია. კონსტანტინე ანდრონიკაშვილზე დიდი მოღვაწენი უნახავს ქართულ სცენას, ღვთით, მრავალი მათგანი ჯერ ისევ ცოცხალია, ბევრჯელ გამოუთქვამთ მათ საყვედური ამა თუ იმ რეცენზიის შესახებ, მაგრამ არც ერთი მათგანი იმ ზომამდე არ მისულა, რომ ასე ცინიკურად მოჰკიდებოდნენ პრესას. ბ-ნ კონსტანტინე ანდრონიკაშვილს ალბად თავისი თავი ისეთს ადამიანად მიაჩნია, რომელსაც დარიგება და ჭკვის სწავლა აღარ ესაჭიროება. ალბად ჰგონია, რომ იგი ბევრად მაღლა სდგას ქართულ პრესაზე! საცოდავი ადამიანი! როგორ ცხადად გამოსჩანს ზემოდ მოყვანილ სტრიქონებში განდიდების მანიით შეპყრობილი არსება!.. **შინაური.**

# შავი ქვის გაზიდვა

**ჭიათურ. რაიონიდან რკინის გზით ფოთსა და ბათუმამდე (ფუთი).**

| | 1912 წ. | 1911 წ. | 1910 წ. |
|---|---|---|---|
| ენკენისთვეში | 5.313.750 | 2.455.500 | 865.500 |
| 9 თვის განმავ. | 45.776.550 | 34.066.500 | 34.792.350 |

**ფოთიდან და ბათუმიდან, ზღვით, გაიზიდა.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ენკენისთვეში | 4.976.140 | 2.682.088 | 330.230 |
| 9 თვის განმავ. | 43.645.556 | 33.533.079 | 34.239.969 |

**სხვა და სხვა ქვეყნებში ქვის გაზიდვა**

ენკენისთვის განმავლობაში ასეა განაწილებული:

| | |
|---|---|
| დიდი ბრიტანია . . | 539.400 ფუთ. |
| ჰოლანდია . . . . | 1.761.159 „ |
| ბელგია . . . . | 415.123 „ |
| ავსტრია-ჰუნგრეთი . | 347.203 „ |
| საფრანგეთი . . . | 113.000 „ |
| გერმანია . . . . | 234.711 „ |
| ჩრ. ამერიკ. შეერთ. შტ. | 1.490.544 „ |
| სამხრეთ რუსეთი . | 75.000 „ |
| სულ | 4.976.140 „ |
| აქედან **ფოთიდან** გაუტანიათ | 3.286.724 „ |
| „ **ბათუმიდან** . . | 1.689.416 „ |

# კიდევ რაბათის სამუდამო სცენის თაობაზე

(წერილი ახალციხიდან)

ბევრჯელ დაწერილა გაზეთებში რაბათის სამუდამო სცენის განახლების შესახებ, რისთვისაც ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრეს გვაქს 153 მან. თანხა. ამ სცენის მოწყობა დიდი ხანია განძრახული გვაქს დედათა სკოლის შენობის იმ ბნელ ოთახში, რომელიც აქნობამდი უსარგებლოდ მიგდებული იყო. ამ განძრახვას სკოლის კომიტეტიც თანაუგრძნობდა, მაგრამ ახლა, როდესაც კომიტეტმა ეს ბნელი ოთახი შეაკეთა, გაათეთრა და იატაკიც დააგო, უარი სთქვა საზოგადო კრებაზე. ასეთმა დადგენილებამ ერთობ აღელვა სკოლის საზოგადოების წევრებიც კი, რადგანაც იმ წევრებმა კარგად იციან, რომ იგი სცენა ნივთიერად დიდ სიკეთეს მოუტანს სასწავლებელსაც. ის სცენა იქნება ერთად ერთი დაუშრეტელი წყარო, რომელიც 200—300 მან. ყოველ წლივ შემოსავალს მისცემს ისეც ღარიბ-ღატაკ სკოლას, რომლის ხარჯები შეჰყურებს ხოლმე საწევრო შესატან ფულებს და საწევრო ფული კი წელიწადში 100 მანეთსაც არ აღემატება იმისდა მიუხედავად, რომ ქალაქი 30 თუმნით ეხმარება ხოლმე. სკოლის ყოველ წლიურ ხარჯს კი 1,200 მან. შეადგენს. დანარჩენს ხარჯს დიდი გაჭირვებით ახერხებენ აქა-იქ კაპეიკების შეგროვებით და ღარიბ-ღატაკ მოწაფეებზე სწავლის ფულის გაწერით. მართალია, უმთავრეს სკოლის შესანახ სახსრად წელიწადში ერთხელ ლატარია-ალეგრი, ან სახალხო სეირნობა აქვთ დასახული, მაგრამ ხშირად აქედანაც იმედი უცრუვდებათ, რადგანაც იმდენ ხვავს არ იძლევა ხოლმე. თუ მართლა კომიტეტმა თავის დადგენილებას ბეჭედი დაჰკრა და აღარ შესცვალა, მაშინ სც. მოყვარეთა წრე იძულებული ვიქნებით ქართ. კათოლიკეთა სკოლის შენობაში მოვაწყოთ ახალი სცენა და იმასვე ვაძლიოთ წარმოდგენიდან შემოსული ფული ბიბლიოთეკასთან ერთად.

მოვაგონებთ მასწავლებელ ქალს ქ-ნ ს. ჯულელს და გიმნაზიელ ვარძელაშვილს, შემოიტანონ მათთან შენახული სათეატრო თანხის ფული პირველმა ხუთი თუმანი ხოლო მეორემ—ცამეტი მანათი.

**მესხი კ. გვარამაძე.**

# ოსმალოს ქალის ძახილი.

„სინი ჟურნალის" თანამშრომელს მიუღია ოსმალელ მოწერილ ქალის **ზაირა იზედინ-ყიზის** წერილი. „თვით ღმერთი მავალებს ხმა ამოვიღოო, სწერს ზაირა, და რასაც აუჩქროლებია ჩემი გული, მინდა საჩქაროდ მოგწეროთო".

„რუსის ქალებო!"

„თქვენ ჩვენზე შორს იმყოფებით, თქვენი ოჯახის ტრადიციები, კანონები, ზნე-ჩვეულებანი ჩვენთვის სრულიად უცხოა, გაუგებარი. ერთხელაც არ მინახავს რუსის ქალი, მაგრამ მათ თაობაზე ბევრი რამ წამიკითხავს: ჩვენ ვიცნობთ თქვენ თავგანწირულებს, კეთილშობილებს, თქვენ სახალხო [illegible] ფებს და [illegible], წმინდა, უმწიკვლო [illegible] მოგვითხრობს [illegible] ტურგენიევი, რა თვალ-წარმტაცად გაქანდაკებთ დიდებული ტოლსტოი!..

დიაღ, ყველა ეს წამიკითხავს; და ამიტომ ვბედავ მოგმართოთ თქვენ, და გამცნოთ ჩემი გულის ლოდადისი, გულის კვნესა. დეე, ამ კვნესამ გადაიაროს ბოსფორი, გაარღვიოს შავი ზღვის ტალღები და მოვიდეს თქვენამდე და მთელ რუსეთს მოედოს. ყური ათხოვეთ ოსმალელ ქალის ვედრებას. და ნუ მოიყრუებთ ყურს, თუ მისი ხვეწნა და მუდარა სასაცილოდ გეჩვენოთ. რამდენიც უნდა ირწმუნებოდნენ ოსმალეელი მწერლები და მოღვაწენი, რომ რუსეთის ხალხი კრულვით და წყევლით იხსენიებს ოსმალეთს, რომ მთელი ოსმალო ხალხი მათთვის ველურთა და მხეცთა ბრბოს წარმოადგენსო, მაინც არ დაუჯერებ, არა და არა. ჩვენ ისეთივე თეთრნი ვართ, როგორც თქვენ, და ისევე გვიყვარს ცა და მზე, ღმერთი და ოჯახი, ჩვენი ხალხი და გადმოცემანი, როგორც თქვენ.

ეხლა მთელი ოსმალეთი ბრძოლის ყიჟინით არის მოცული. ჩუმი, გულწრფელი, ქვეყნისთვის უხილავი ცრემლი იღვრება ოჯახებსა და ჰარამხანებში. ცრემლ მორეული, ტანჯულნი დედანი მშობლიურ კურთხევით ჰგზავნიან შვილებს შეურაცყოფილ მამულის დასაცავად.

მაგრამ ჩვენ ხომ არ დავიწყეთ ომი, პირველმა ჩვენ არ დავღვარეთ ადამიანის სისხლი!

თქვენი მოძმე სლავიანები მოესივნენ ოსმალეთს და მისი დედა-მიწის ზურგიდან აღმოფხვრა სწადდათ. ოჰ ღმერთო! ნუ თუ თქვენ, ქრისტიანებმა ვერ მონახეთ სხვა ღონისძიება, სხვა ზომა საქმის მოსაგვარებლად გარდა სისხლის ღვრისა!?

თქვენ გყავთ სწავლულნი, მეცნიერნი, ღმობიერი წინასწარმეტყველნი, ქრისტეს მცნების მატარებელნი წმინდანნი, პირველმა თქვენ დაიყვირეთ: შურისძიება, სიკვდილი, ადამიანის სისხლი! ნუ თუ შესაძლებელია ქრისტიანთა შემავიწროვებელ მხეცთა გულისთვის, მართლაც მტარვალთა გულისთვის, სისხლში გასვაროთ მთელი ხალხი, მთელი ერი, რომელიც, ვფიცავ ალლაჰს, ქრისტიანთა დარბევაში უდანაშაულოა, უმანკოა!"

თქვენ იტყვით: ყველა ზომები მივიღეთ ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელადო, მაგრამ ყველა ამაო იყოო.

არა, ამას თქვენ არ ამბობთ! ეს—სიცრუეა, დიპლომატების მიერ შე-

# მამულების დანაწილება საქართველოში

5.[1])

**(დროებით ვალდებული გლეხების მიწა-ადგილი)**

**ტფილისის გუბერნია.**

1911 წლის „სახალხო გაზეთი"-ს ნომერში ჩვენ გლეხ-კაცობის სოციალურს მდგომარეობაზე და მიწათ-მფლობელობაზე დავსტამბეთ მთელი რიგი წერილებისა. ის წერილები დაფუძნებული იყო უმთავრესად 1890—1902 წლების სტატისტიკურ მასალებზე. ამ ჟამად, როდესაც ჩვენ ხელთა გვაქვს ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ფრიად საყურადღებო გამოცემა [2]), ესე იგი უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ჩვენი ხალხის სხვა და სხვა ნაწილების მიწათმფლობელობის შესახებ, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ამ საინტერესო სტატისტიკურ მასალებით კვლავ არ დაუბრუნდეთ ამ ფრიად სერიოზულს საკითხს, თან ფართე საზოგადოებისათვის გაუცნობელს და მით არ წარმოვიდგინოთ ზოგიერთი მხარეები ამ ბატონ-ყმობის დროინდელ მოვლენისა.

ყველას მოეხსენება, რომ დროებით ვალდებულ გლეხების მდგომარეობა დამყარდა საქართველოში ბატონ-ყმურ წეს-წყობილების მოსპობიდან. თვით გამოთქმა **„დროებით ვალდებული"** აშკარად გამოჰხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ბატონ-ყმურ წეს-წყობილებაში არსებობდა გლეხ-კაცობის **მუდმივი** დამოკიდებულება. ბატონ-ყმობას უნდა მოესპო არა თუ მუდმივი დამოკიდებულება გლეხების ბატონებთან, არამედ ამის თვით შესაძლებლობაც. მაგრამ რეაქციონური ძალები ამხედრდნენ 1861 წლის ძირითად დებულების წინააღმდეგ და სადაც თუ რითაც შეიძლება ამ ისტორიულ აქტის სიძლიერე და სიცხოველე უკანასკნელ შესაძლებლობამდე მიიყვანეს, დააქვეცნელეს და მით დაუკარგეს თითქმის მთელი პირვანდელი ძალა-მნიშვნელობა.

გლეხ-კაცობის მდგომარეობა ზოგიერთს ალაგას კიდევ უარესი შეიქმნა, ვინემ ეს იყო თვით ბატონყმურ წეს-წყობილებაში. მესამე სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე დეპუტატების კანონ-პროექტი დროებით ვალდებულ გლეხ-კაცობის შესახებ, რომელიც მოითხოვდა კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციასთან ერთად [3]) ამ დამყაყებულ მდგომარეობის მოსპობას—აშკარად, სათანადო მასალებით ამტკიცებდა, რომ საერთოდ გლეხ-კაცობის მიწათ-მფლობელობა ბატონ-ყმობის გადაგდებით დიდად შემცირდა და ამნაირად ხალხის გაჭირვებას მალამო კი არ დასდო 1861 წ. აქტმა, არამედ გაჭირვებას სიღატაკე დაუმატა. ამაზე გაჩერება დღეს, როდესაც ეს საკითხი პროექტების დაბეჭდვით, აგრედვე ერნსტ სიომინის წიგნის გამოქვეყნებით, უფრო გამორკვეულია, საჭიროდ არ მიგვაჩნია.

მეტად საგულისხმოა ვიცოდეთ ახალი განწყობილება დროებით ვალდებულ გლეხების მიწათ-მფლობელობის და ზოგიერთ სხვა კითხვებზე, რომელიც თავად-აზნაურობის ხსენებულ გამოცემაში არის მოყვანილი. ბ. ფილიპე გოგიჩაიშვილს ეს ცნობები შეუკრებია გარიგების წიგნის საბუთებიდან (уставная грамота) და აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობისას ტფილისის გუბერნიაში ირიცხებოდა მემამულენი—რომელთაც დროებით-ვალდებული გლეხები ჰყავდათ და აგრედვე დროებით ვალდებულნი კომლობით.

| | ბატონების რიცხვი, რომელთაც ჰყავთ დრ.-ვალ. გლეხ. | დრ.-ვალდებულ გლეხთა კომლი. |
|---|---|---|
| გორის მაზ. . . | 1194 | 5.663 |
| ბორჩალოს . . | 135 | 3.340 |
| დუშეთის . . | 518 | 2.531 |
| თელავის . . | 262 | 2.111 |
| სიღნაღის . . | 354 | 2.032 |
| ტფილისის . . | 172 | 1.467 |
| თიონეთის . . | 67 | 323 |
| ახალციხეს ახალქალაქის | ( ცნობა არ არის. ) | |

როგორც ხედავთ, ყველაზე მეტი დროებით ვალდებულ გლეხებისა და ბატონობისა, რომელთაც ჩაჭერილი ჰყავთ გლეხ-კაცობა ყოფილა გორის მაზრაში. შემდეგ მოდის გლეხთა სიმრავლის მიხედვით ბორჩალოს მაზრა, დუშეთის და სხ. მთელ ტფ. გუბერნიის ამ შვიდს მაზრაში გლეხთა კომლის რაოდენობა უდრის 17.467, მემამულე ბატონების რიცხვი=2.702-ს. ასე რომ მემამულეთა მთელ რიცხვიდან მარტო გორის მაზრაში ყოფილა $44_{15}$%. დროებით ვალდებულ გლეხთა საერთო რიცხვიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| გორის მაზრაში ყოფილა | | | $32_{,42}$% |
| ბორჩალოს | „ | „ | $19_{,60}$% |
| დუშეთის | „ | „ | $14_{,40}$% |
| თელავის | „ | „ | $12_{,08}$% |
| სიღნაღის | „ | „ | $11_{,63}$% |
| ტფილისის | „ | „ | $8_{,03}$% |
| თიონეთის | „ | „ | $1_{,84}$% |
| სულ | „ | | 100,%. |

რა მდგომარეობაში ჩააყენა ბატონყმობის მოსპობამ ეს ხალხი? რამდენი მიწა-ადგილი მოუწია მათ ნადელად? სტატისტიკურ ცნობათა კრებული ჩვენ გვიაშკარავებს ამ საგანს მორიგების წიგნის საშუალებით. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ დროებით ვალდებულ გლეხ-კაცობის ხელში გადასულა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბორჩალოს მაზრაში— | | 17.984 | დეს. |
| გორის | „ | 23.524 | „ |
| დუშეთის | „ | 7.569 | „ |
| სიღნაღის | „ | 9.110 | „ |
| თელავის | „ | 10.186 | „ |
| ტფილისის | „ | 6.419 | „ |
| თიონეთის | „ | 1.661 | „ |

ჩვენ ვიცით, რამდენი კომლი დრ.-ვალდ. გლეხები ირიცხება ამ მაზრებში, ვიცით მიწის რაოდენობა, ვიცით, რომ საშუალოდ კომლში იმყოფება ხუთი სული. ამიტომ შესაძლოა და საინტერესო ვიცოდეთ, თუ რამდენი მიწა-ადგილი მოდიოდა კომლზე და რამდენ სულზე; აგრედვე შევიტყოთ, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს ნადელი გლეხისა მთავრობის მიერ დაწესებულ სანადელო ნორმას ბატონ-ყმობის ლიკვიდაციის ხანაში, მასალების გადამუშავება კი ჩვენ დაგვანახვებს, რომ ხსენებულ მაზრებში მოდიოდა.

| | კომლზე | | სულზე | |
|---|---|---|---|---|
| ბორჩალოს მაზ. | $5_{,38}$ | დეს. | $1_{,07}$ | დეს. |
| გორის მაზრაში | $4_{,15}$ | „ | $0_{,83}$ | „ |
| დუშეთის „ | $2_{,99}$ | „ | $0_{,59}$ | „ |
| სიღნაღის „ | $4_{,48}$ | „ | $0_{,89}$ | „ |
| ტფილისის „ | $4_{,37}$ | „ | $0_{,87}$ | „ |
| თელავის „ | $4_{,82}$ | „ | $0_{,96}$ | „ |
| თიონეთის „ | $5_{,14}$ | „ | $1_{,02}$ | „ |
| საშუალოდ | $4_{,47}$ | „ | $0_{,89}$ | „ |

ჩვენ ვხედავთ ყოვლად შეუბღალავ ცნობების მიხედვით, რომ ერთი მეორეზე ტფილისის გუბერნიაში ყოველგვარი და ყოველ ხარისხის მიწა-ადგილი კომლზე მოდიოდა $4_{,47}$ დესეტინა, ხოლო სულზე $0_{,89}$ დ. ეს ცნობები უეჭველად მაგონებენ ბ-ნ პროკოპოვიჩის საგულისხმიერო წიგნის ერთს ალაგს, სადაც იგი აღიარებს უკვე დამტკიცებულ ჭეშმარიტებას, რომ „წესიერი მეურნეობა თანამედროვე ტეხნიკის მდგომარეობაში შეუძლებელია რვა დესეტინაზე ნაკლებ მიწა-ადგილზე, რომ ნაკლების ზომის ადგილზე შეუძლებელია მუშის გამოკვება*) თვითონ რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობაც, როდესაც ეხებოდა გლეხ-კაცისათვის სამეურნეოდ აუცილებლად საჭირო მიწა-ადგილის ზომის გამორკვევას, აღიარებდა, მაგალითად, ტფილისის გუბერნიისათვის, რომ ბატონყმობიდან განთავისუფლებულ გლეხს სარწყავ მიწის ხუთი დესეტინა მიეცეს, ხოლო ურწყავ მიწის კომლზე 10 დესეტინაო. მაგრამ ნამდვილად რასა ვხედავთ? გლეხს საშუალოდ ყოველგვარი მიწა კომლზე $4_{,47}$ დეს. მისცეს, რაიცა სულზე $0_{,89}$ დეს. შეადგენს. მაგრამ ამ $4_{,47}$ დესეტინას რომ გავსდიოთ და სათანადოდ გაუშინჯოთ ფესვები, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ $4_{,47}$ დეს. თავის ნამდვილ მნიშვნელობას და ძალას სრულიად მოკლებულია.

ფესვების გაშინჯვა კი ამ ნადელისა მეტის-მეტად არის საჭირო. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გლეხ-კაცისათვის მეურნეობის საქმეში და მით უმეტესად იმ გლეხისათვის, რომელიც მხოლოდ ის არის რომ იწყებს დამოუკიდებელ ოჯახისა და მეურნეობის მოწყობას, დიდი მნიშვნელოვანი და მეტად საჭირო არის სახნავ-სათესი მიწა-ადგილი. ბაღის გაშენება, მაგ., ყოველის მხრით შევიწროებულ და ილაჯ გაწყვეტილ მშრომელ გლეხ-კაცისათვის პირდაპირ წარმოუდგენელია. მას არა გავს საწარმოვო იარაღები, ის მოკლებულია თანამედროვე აგრონომიულს ცნობიერებას, ხშირად წერა-კითხვისაც არა გაეგება რა და აგრე გაუვითარებელმა გლეხმა ხვნა-თესვის მეტი რომ ვერაფერი გააწყოს, სრულიად არაა გასაკვირალი. პირიქით, ასეთი მდგომარეობა გლეხკაცობისა პირდაპირ აუცილებელია. ამიტომ მთელ სანადელო მიწის სამოსახლო, საბაღო და სხ. ადგილები მეურნეობის და შემოსავლის მხრივ ნაკლებად არის საგულისხმიერო და მნიშვნელოვანი. და თუ იმას გავიგებთ, რომ თვითეულ კომლზედ და სულზედ რამდენი სახნავ-სათესი მიწა მოსდიოდა გლეხ-კაცსა, მაშინ მდგომარეობის ნამდვილ სურათის გადაშლისაკენ ერთი ნაბიჯი გადადგმული გვექნება. ასე, გამოანგარიშება გვანახებს, რომ თვითეულ კომლზე და სულზე **სახნავ-სათესი მიწა-ადგილი** მაზრების მიხედვით მოდიოდა:

| | კომლზე | | სულზე | |
|---|---|---|---|---|
| ბორ. მაზრ. | 5, „ | დეს. | 1. 02 | დეს. |
| გორის „ | 3, 78 | „ | 0, 75 | „ |
| დუშეთ. „ | 2, 71 | „ | 0, 54 | „ |
| სიღნაღ. „ | 3, 65 | „ | 0, 73 | „ |
| ტფილ. „ | 5, 95 | „ | 0, 79 | „ |
| თელავის „ | 3, 67 | „ | 0, 73 | „ |
| თიანეთის „ | 4, 46 | „ | 0, 83 | „ |
| საშუალოდ = | 3, 90 | „ | 0, 78. | |

სამწუხაროდ, არ არის ცნობები მოყვანილი სათავად-აზნაურო საკრებულოს გამოცემაში ამ მიწების ხარისხოვნობისა, თვისებისა და მდგომარეობის შესახებ. ამას კი გლეხკაცის მეურნეობაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მოყვანილი ცნობა კი აშკარად გვაჩვენებს, რომ გლეხ-კაცს სახნავ-სათესი მიწა მოსდიოდა იმდენი, რომ ზედ წესიერ მეურნეობის მოწყობა პირდაპირ შეუძლებელი იყო. 1)

**თევდ. ღლონტი.**

1) „სახალხო გაზეთში" იბეჭდება წერილები მიწათ-მფლობელობის შესახებ საქართველოში. ყოველი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ დამთავრებულად ჩაითვლება, დაკავშირებულია ერთი-მეორეზე და შეადგენს ერთ მთელს. ამიტომ ყოველი შემდეგი წერილი მთავარ განზრახულების გაგრძელებაა, რომლის სათავე № 658-დან იწყება ავტ.

2) ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუძღვნი ტფილისის სათ.-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს თავის სტატისტიკურ გამოცემის უფასოდ დათმობისა და ჩემის დროებითი ბინაზე გამოგზავნისათვის. ავტორი.

3) გარჩევა სოც.-დემ. კანონპროექტისა და მეფის მოადგილეს პროექტში მოვლენის ლიკვიდაციის ფორმა—გამოხატულებაშია.—ავტ.

*) С. Прокоповичъ „Аграрный кризисъ и мѣропріятія правительства" Москва 1912 წ. გვ. 9.

1) სხვათაშორის ეს ცნობა გვიხსნის მიზეზს, თუ რისთვის არ ვრცელდება საქართველოში გაუმჯობესებული საწარმოვო იარაღები. ავტ.

თხზული, რომელნიც დიდი ხანია მგლურად უყურებენ გავერანებულ ოსმალეთის მიწებს და მისი გაჯიჯგვნა ჰსურთ.

ჩვენ ხალხს სიმშვიდე უნდა, უნდა კეთილი განწყობილება მეზობლებთან, მონატრულია ოჯახის სიტკბოებას, ბედნიერებას. ახლო რო გაიცნოთ ხალხი, დაივიწყოთ ძველი შეთხზული სიცრუე, დარწმუნდებით, რომ ჩვენისთანა დამყოლი, სათნოიანი ხალხი იშვიათია.

მაშ რად გვინდა ომი, რად გვინდოდა სისხლი, საშინელებანი?!

დეე, სლავიანთა საუკეთესო ხალხი შეიკრიბნენ კონგრესზე და გამოიკვლიონ ზომები, რომელნიც სისხლის ღვრას და ვერაგობას ბოლოს მოუღებს.

ძირს ჩვენი და თქვენი დიპლომატები!

ძირს ხალხის ბოროტების და შურის გამაღვიძებელნი!

საფლავები არ გვინდა, ჩვენ ცხარე ცრემლსა ვღვრით, და ერთი ფიქრით, რომ ჩვენი შვილები საშინელ ტანჯვას განიცდიან ბრძოლის ველზე დაჭრილნი, ვიწუხთ და ვიდაგვით.

რუსის ქალნო! გაჰკივლეთ მთელს ქვეყნიერობაზე, რომ არ გინდათ ომი, ბრძოლა, შურის ძიება!

გაუმარჯოს სიმშვიდეს, სიტკბოებას.

**ზაირა იზედინ-ყიზი.**

## სხვა და სხვა ამბავი

**სტუდენტების მონანიება.**

ოდესის უნივერსიტეტიდან არეულობის გამო რამდენიმე სტუდენტი დაითხოვეს. ზოგიერთმა სტუდენტმა თვალცრემლიანმა ცოდვის მიტევება სთხოვა უნივერსიტეტის საბჭოს და აღუთქვა, რომ არეულობაში მონაწილეობას აღარ მივიღებთო, პირიქით წინააღმდეგობასაც გაუწევთო. საბჭომაც შეუნდო ცოდვილებს.

**კავკასიელთა რაზმი.**

კავკასიელთა რაზმის მონაწილენი, რომელნიც ბალკანეთში მიემგზავრება, მთავრობას სთხოვს: საზღვარ-გარეთის პასპორტები უფასოდ მოგვეცითო; მთავრობამ შუამდგომლობა უარჰყო. ამით რაზმის წასვლა ძლიერ ბრკოლდება.

**ტოლსტოის სიკვდილის სწორის გამო.**

7 გიორგობისთვეს შესრულდება სრული ორი წლიწადი, რაც დიდებული მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი გარდაიცვალა.

ამის გამო მოსკოვის სამხატვრო თეატრში წარმოადგენენ „ცოცხალ გვამს“, კორშის თეატრში „ყველა ღირსება მისგან არს“ და სხვა.

წარმოდგენის დაწყებამდე, მთელი თეატრი ფეხზე ადგომით პატივსა სცემს განსვენებულის ხსოვნას.

## სიმღერა

ბევრი რამ შავი ნაღველი,
ვით რკინა, გულსა მიდაღავს,—
ბევრი სამსალა ცხოვრების
განმიცდია და მინახავს.
ბევრი ოცნება, ფერადი
მწვევია, მყის მოჰკვდომია
და გმობა წუთი სოფლისა
გულს კვნესად ამოჰხდომია...
მრავალჯერ ბედის ბრჭყალებ ქვეშ
მდუღარე ცრემლი მდენია
და ლოცვა ჩემი სულისა
ზეცას ყრუდ მოუსმენია!..

მაგრამ არ მაკრთობს ყველა ეს,
ვერ მიხშობს ბრძოლის გრძნობასა:
არ ველი ბედის წყალობას,
არც კაცთა თანაგრძნობასა;
სხვათაც მოუხმობ ჩემთაებრ,
ვაფიცებ მტკიცე ძმობასა,
ვამცნებ სამშობლოს გასაჭირს,
ვურჩევ მის გუშაგობასა,
მის წყლულის გულით ტარებას,
მის შვებით ამაყობასა
და მის სხვა ერთგულ შვილთადმი
სულიერ მეგობრობასა...

ხან მხიარულის ოცნებით
ვმღერი, ხან-ნაღვლიანადა,
მაგრამ ორსავ დროს ნახნავში
იმედსა ვთესავ ყანადა...
სულ წინ ვისწრაფვი მარადის,
რამდენად შემწევს ძალია
და ვგრძნობ, რომ შორს აღარ არის
ნეტარი მომავალია!..

**ს. ფაშალიშვილი.**

# ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

**ბულგარეთის მხრით**

**სოფია.** ბრძოლის ველზე წავიდა მაკედონელ მოხალისეთა ჯარი, სულ 4000 კაცი. ბაბა-ესკისთან ბულგარებმა დაიჭირეს სტამბოლში მიმავალი მატარებელი, ფქვილით დატვირთული. ბულგარეთის ჯარი ლივლებურგასისკენ მიდის. ქალაქები—იშტიბი და კეპრიულიუ ოსმალებმა დასტოვეს.

**სოფია.** ბოლგარებმა დაიჭირეს კრესნენის სივიწროვე. სტრუმის ხეობაში აიღეს ბუნარგისარი. ოსმალეთის გემი „ქაირ-ედინ-ბარბაროსა“ ვარნასთან გამოჩნდა. კორესპოდენტებს ნება მიეცათ მუსტაფა-ფაშაში წასულიყვნენ.

ელეონორა დედოფალი ყოველ დღე ჰხვდება ფილიპოპოლში მატარებელს და დაჭრილებს საჩქაროდ ჰშველის.

სოფიის სომეხ მცხოვრებლებმა ვვერდინანდ მეფეს დეპეშა გაუგზავნეს: უცხადებდნენ ერთგულებას და შველას სთხოვდნენ.

**სოფია.** მოვიდა გერმანიის და საფრანგეთის „წითელი ჯვარის“ რაზმები. საფრანგეთის სასანიტარო რაზმი ფილიპოპოლისკენ მიდის.

**სოფია.** ჯარის მთავარი სადგომი აღარ უშვებს ახალ სამხედრო კორესპოდენტებს.

**სერბიის მხრით.**

**ვრანიე.** ჟივკოვიჩის არმიამ კრეპოლე დაიჭირა. სანჯაყში მხოლოდ ერთი სიმაგრეღა დარჩა—პლევლე. მთელი ოვჩეპოლე მეორე არმიის ხელშია. აიღეს იშტიში.

**ბელგრადი.** კუმანოვის ბრძოლამ დაამტკიცა, რომ სერბიის არტილერია, თვისი ღირსებით გვერდში ამოუდგება ევროპის პირველ ხარისხოვან სახელმწიფოების არტილერიას. ალექსანდრე მემკვიდრე კუმანოვაში შევიდა მაშინ, როცა ტყვია სეტყვასავით მოდიოდა. თვისი მხნეობით მემკვიდრემ ჯარი გააკვირა. მესამე არმიამ დაიჭირა კლიშელი.

**ბელგრადი.** მესამე არმიის რაზმმა 14 ღვინობისთვეს მიტროვიცი დაიჭირა.

**ბელგრადი.** დრენიცა-ლაპუშნიკის ოლქის 100 სოფელი სერბიელების მხარეს გადავიდა.

**ბელგრადი.** ოფიციალად იტყობინებიან, რომ პრიშტინის მახლობელ მიდამოებში სერბიის ადმინისტრაციაა; პრიშტინში მთავარი გამგეობაა. მთელი მხარე დაყოფილია 6 ოლქად. არნაუტებს წინადადება მისცეს დაბრუნებულიყვნენ სახლში და იარაღი დაეყარათ.

სერბიის ცხენოსანი ჯარი სდევნიდა ოსმალოებს, უსკიუბსა და ტეტოვში რომ გაიქცნენ. ოსმალების რაზმი დაჰნებდა. აიღეს სერბიელებმა ტეტოვო. ხმებია, პირველმა ჯარმა დაიჭირა იშტიბი, მეორემ—ვალესი. არნაუტები ყველგან ჰნებდებიან. ბელგრადიდან წავიდა საზოგადო საქმეთა მინისტრი 20 დეპუტატით და პარტიათა წარმომადგენლებით, რათა უსკიუბში დაუხვდნენ მეფეს. პირდაპირი მიმოსვლა ბელგრად—უსკიუბ. ივერის საზოგადოებას საავადმყოფო ბელგრადშია. მოსკოვის ალექსანდრიის საზოგადოების საავადმყოფო ნიშში წავიდა.

**საბერძნეთის და ჩერნოგორიის მხრით**

**ათინა.** 300 კუნძულ კრიტეს 300 მცხოვრები მოვიდა სამხედრო სამსახურისთვის. საზღვარ - გარეთელ ბერძნების შემოწირულებამ რამდენიმე მილიონს მიაღწია.

**ათინა.** მეფეს კოჟანში აუწერელი სიხარულით დაჰხვდნენ. შვეიცარიის „წითელი ჯვარის“ საზოგადოების რაზმი მოვიდა.

**პოდგორიცა.** მემკვიდრის რაზმმა დაიჭირა სკუტართან ახლო მყოფი სიმაღლე ბრტინგუ. სიმაღლე მდინარე კირის ხიდზე მაღლა იყო. ოსმალებმა ააფეთქეს ხიდი. ჩერნოგორიის ხმელეთის ჯარმა დაიჭირა სიმაღლე ბარდანოლი.

**ცეტინიე.** ეს მეექვსე დღეა, რაც ტარაბოშზე იერიშით მივიდნენ. ზარბაზნების სროლა რამდენიმე საათი გრძელდება. ჩერნოგორელები უახლოვდებიან ტარაბოშს. ვუკოტიჩმა როჟაი აიღო.

**კოჟანი.** დილით პატარა შეტაკება მოხდა ტრიპოტამოს უღელ-ტეხილზე. ბერძნები იერიშით მიდიან ოსმალებზე. ოსმალები უკან იწევიან.

**ცეტინიე.** ვუკოტიჩის ჯარი ნაყოფიერად ჰმუშაობს. იპეკის მახლობლად მდებარე სიმაღლე პაკლენი აიღო. იპეკსაც ამ დღეებში აიღებენ ტარაბოშის იერიში კარგა მიდის. ოსმალეთის ჯარი სულით დაცემულია.

**ოსმალეთის მხრით**

**სტამბოლი.** აბდულ-ფაშა აღმოსავლეთ ჯარის უფროსობიდან უნდა გადააყენონ, გარნიზონის უფროსმა გამოაცხადა, რომ რადგანაც ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული, საღამოს 10 საათზე გამოსვლა ქუჩებში აკრძალულიაო.

**სტამბოლი.** 150 დაჭრილი მოვიდა: მათ რიცხვში პრინც აბდულრახიმი. ოფიციალი ცნობით, ოსმალეთის ჯარმა დაამარცხა სერვიასთან საბერძნეთის ჯარი.

ადრიანოპოლიდან მოსული ცნობები დამაშვიდებელი ხასიათისა არის. მოელიან ოსმალების ბრწყინვალე გამარჯვებას. იტყობინებიან აგრეთვე, რომ მცხოვრებნი, რომელნიც შიშით აქ გადმოვიდნენ უკან გაიგზავნებიან. მოხალისენი, ვინც თავი დაანება სამსახურს შიშის გამო დათხოვნილები იქნებიან.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტო იუწყება, რომ ნაზიმ-ფაშის ცნობით ბულგარეთის ჯარი კირკილისეს ბრძოლის დროს ძლიერ დაიქანცა და დაიქსაქსა, ასე რომ იერიშის მიტანის უნარი არა აქვსო. ოსმალეთის ჯარი მხნედ არის.

**სტამბოლი.** მემკვიდრე პრინცი იზედინი ბრძოლის ველზე მიდის, სულთანის მთავარ სადგომში. რადგანაც რეშიდა პარიზში ელჩად დაინიშნა მიწად-მოქმედების და ვაჭრობის მინისტრად სენატორი რეშიდ-აკიფ-ფაშა დაინიშნა. მოვიდა კიდევ მატარებელი 250 დაჭრილით.

**სტამბოლი.** გენერლები აზისი და მახმუდ-მუხტარი ბრძოლის ველიდან სტამბოლში გაიწვიეს და სამხედრო სასამართლოს მისცეს. ეს ამბავი ნათლად ჰმოწმობს ოსმალეთის დამარცხებას. დამარცხება ისეთი დიდი იყო, რომ 12—13 ღვინობისთვეს მინისტრთა საბჭო, წარჩინებულთა და სამღვდელოების თანადასწრებით. დიდ სახელმწიფოთა ჩარევის წინადადების მიღების საკითხს იხილავდა; რადგანაც ქამილ-ფაშამ საჭიროდ სცნო ომის საქმეში ჩაერიათ „გაერთიანების და პროგრესის“ კლუბი, საბჭომ ომის გაგრძელება გადასწყვიტა. დიქტატურობა ომის დროს დააკისრეს მუჰმუდ-შეფკეტს. ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე გაამაგრონ ჯარი.

მობილიზაციის საქმე ვერა ყოფილა კარგად დაყენებული. უკანასკნელ ცნობით, ნიაზიმ-ფაშა აღარ იწევს უკან. მან ჯარის საქმე მოაწყოო. წეს-რიგის აღდგენის დროს 100 ჯარის-კაცი დახვრიტეს, მეტ წილს ქრისტიანებს ხვრეტდნენ.

**ომი და სახელმწიფონი.**

**ვენა.** „კინერ-ალგემეინე - ცეიტუნგ“-მა გამოაქვეყნა ვითომ და ბერლინიდან მოსული ცნობა: ბერლინის მაღალი წრე, კონგრესის წინ კონფერენციის მოწვევის საკითხის ბალკანეთის ომის მოსაგვარებლად, უდროოდა სთვლისო.

**პრაგა.** ჩეხიის დაწესებულებათა მოქმედება ბალკანეთის სლავიანთათვის დახმარების აღმოსაჩენად, ხალხოსნურ ხასიათს იღებს.

**ვენა.** მინისტრ პრეზიდენტ შტიურგეს შეეკითხნენ სოციალ-დემოკრატები ბალკანეთის ომის გამო. პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ავსტრია ჰუნგრეთი მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებსო თანახმად გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკისაო. მართალია, ავსტრია-ჰუნგრეთს არავითარი აგრესიული ხასიათი არ აქვს, მაგრამ მაინც უნდა თავის კანონის, ინტერესების დაცვისთვის მზად იყოსო. რაც შეეხება ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარის მობილიზაციასო, სთქვა პრემიერმა, ხმები სიმართლეს მოკლებულიაო.

**სტოკჰოლმი.** შვეციის „წითელი ჯვრის“ საზოგადოება ჰგზავნის ოსმალეთში სასანიტარო რაზმს.

**ვენა.** პალატაში, ჩეხელ სოციალ-დემოკრატები, კათოლიკები და სერბიელ-ხორვატები წინაღმდეგნი არიან ავსტრიის რჩევისა ბალკანეთის ომშიო. ავსტრია უნდა მეგობრულ განწყობილებაში იყოს ბალკანელებთანაო.

### გაზეთებიდან.

**ბულგარეთის მხრით.**

**დაწვრილებითი ცნობები კირკილისეს აღებისა.**

გაზ. „რეიხშპოსტი“ სწერს: კირკილისეს აღება ღამის იერიშით იყო მომზადებული. ბულგარებმა ბნელაში დასდგეს მაღლობებზე მძიმე არტილერია და გათენებისას დაუშინეს ზარბაზანი. ყუმბარებმა ქალაქში ცეცხლი გააჩინეს; ამავე დროს ქვეითა ჯარმა დაიწყო იერიში. მეორე რაზმი კირკილისესა და სოფ. უსკაბის შუა დაიძრა, რათა გასაქცევი გზა მოეჭრა ოსმალთათვის. კირკილისეს ჩრდილოეთით, ვენახებში ასტყდა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. რამდენჯერმე უკუაგდეს ბულგარები, მაგრამ იგინი მაინც განაგრძობდნენ იერიშს. ოსმალთა ჯარის თვალსაჩინო ნაწილმა ღამითვე იწყო უკან დახევა. ბულგარები დილის 10 საათ. შეიჭრნენ ქალაქში, სადაც საშინელი ჟლეტა დატრიალდა. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ბულგარები დაეპატრონენ ქალაქს და დაედევნენ გაქცეულ ოსმალებს. ძლიერი რაზმი სოფ. ბუნარხისარისკენ გაეშურა, რათა გზა მოეჭრა გაქცეულთათვის. დამარცხებულები სიმაგრეთა მეორე რიგისკენ გაეშურნენ და მდ. ერგენის ნაპირებზე გამაგრდნენ. მათი დანაკლისი 16.000 კაცს აღემატება. ბულგარებმა ტყვედ ჩაიგდეს 50.000 ჯარისკაცი და მრავალი სამხედრო სურსათი.

**გაჩქარებულ მგზავრობის მსხვერპლნი.**

პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის ერთ-ერთ რაზმში რამდენიმე ჯარისკაცი, მათ რიცხვში ერთი პროფესორი, რომელიც სათადარიგო ჯარში იყო მიწვეული, გზაში გარდაიცვალა, რადგან ვერ აიტანა გაჩქარებული მგზავრობაო.

**ჰაეროპლანები.**

ჰაეროპლანებმა დიდი ამაგი დასდვეს ბულგარებს ადრიანოპოლთან ბრძოლაში.

**სერბიის მხრივ.**

**ნოვობაზარის აღება**

11 ოქტომბერს სერბიელებმა ქ. ნოვობაზარი აიღეს. ქალაქი მხოლოდ მას შემდეგ დაჰნებდა, რაც სერბიელების არტილერიამ ფიცხელი სროლა გააჩაღა.

**კუმანოვოს ბრძოლა.**

ოფიციალურის ცნობით, კუმანოვოს ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა პირველი ჯარის მხოლოდ ერთი ნაწილი. ოსმალთა 30.000 რაზმს სიმაგრეთა მთელი რიგი ეჭირა. სერბიელები, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ველი გაშლილი იყო, მამაცურად მიდიოდნენ იერიშით, რომელიც ხშირად ხელ-ჩართულ ბრძოლად იქცეოდა ხოლმე. ოსმალებს 5.000 კაცი მოუკლეს, სერბიელების დანაკლისიც საგრძნობელია. ბრძოლას ხელმძღვანელობად სერბიის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე. სერბიელებმა ხელთ იგდეს 12 ზარბაზანი.

**გერმანელები ოსმალეთის ჯარში?**

კუმანოვოს ბრძოლაში დაჭრილი სერბიელი აფიცრები ამბობდნენ, რომ ოსმალთა რაზმებიდან ხშირად ისმოდა გერმანული ბრძანება. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ოსმალეთის არტილერიას გერმანელები უფროსობენო.

**ჩერნოგორიის მხრივ.**

**ტარაბოშის აღება.**

ვენიდან იტყობინებიან: 11 ოქტომბერს გენერალმა მარტინოვიჩმა სამის მხრიდან ზარბაზანი დაუშინა ტარაბოშის მთას. დიდი ხნის ბრძოლით მოქანცულმა ოსმალებმა გათენებისას მიატოვეს ტარაბოშის მწვერვალი. ჩერნოგორელებმა წაართვეს 22 ზარბაზანი.

**სკუტარის მდგომარეობა.**

ტარაბოშის მთის აღების შემდეგ, ჩერნოგორელები სკუტარის შიდა ციხეს შემოერტყნენ და წინადადება მისცეს, დაგვნებდიო. მეციხოვნე ჯარმა უარი განაცხადა. ჩერნოგორელებმა სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ზარბაზნის სასტიკი სროლა დაიწყეს, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ოსმალებს. დღე-დღეზე ელიან ქ. სკუტარის აღებას.

**საბერძნეთის მხრივ.**

**ბერძნები სალონიკს უახლოვდებიან.**

ვენიდან იუწყებიან: საბერძნეთის ჯარმა, ტახტის მემკვიდრე კონსტანტინეს მეთაურობით, აიღო ქალაქი კოჟანა. ახლა ოსმალთა თესალონიელი ჯარი მოწყვეტილია სალონიკსა და მთელს მაკედონიას. იგი იძულებულია ელბასანისკენ დაიწიოს, რათა სკუტარიდან უკან დახეულ რაზმს შეუერთდეს.

**ქ. სერვიაში შესვლა.**

12 ოქტომბერს პრინცი-მემკვიდრე დიდის ზეიმით შევიდა ქ. სერვიაში, სადაც განთავისუფლებული ბერძნები სიხარულით მიეგებნენ.

**მეფე გეორგის წასვლა.**

საბერძნეთის მეფე დაპყრობილ ქვეყნების დასათვალიერებლად გაემგზავრა.

**კუნძულ ლემნოსის ალყა.**

საბერძნეთის მთავრობამ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობა, საბერძნეთის ფლოტმა კუნძ. ლემნოს ალყა შემოარტყაო. ალყა შემორტყმულია აგრეთვე ოსმალეთის იმპერიის სანაპიროები ჩრდილოეთით მდ. ვისტრიცამდე.

**საბერძნეთის ფლოტი.**

სტამბოლიდან იტყობინებიან, საბერძნეთის ფლოტი სალონიკის ყურეში გამოჩნდაო.

**ოსმალეთის მხრით**

სტამბოლიდან ოფიციალურად იუწყებიან, ოსმალთა აღმოსავლეთის ჯარი ტაქტიკური მოსაზრებით უკან იხევსო.

**ოსმალები ბაბა-ესკიში.**

„დეილი ტელეგრ.“ ცნობით, ოსმალთა უმთავრესი ჯარი ბაბა-ესკისა და ლულე-ბურგასის შუა აკეთებს სიმაგრეებს, სადაც გადამწყვეტ ბრძოლის გადახდას აპირებს.

**ომი და სახელმწიფოები.**

**რუსეთის პროტესტი.**

რუსეთის ელჩმა სტამბოლში სასტიკი პროტესტი განუცხადა ოსმალეთის მთავრობას კავარნისათვის (ბულგარეთის სანაპიროზეა) ზარბაზნის დაშენის გამო. ეს პროტესტი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ბულგარების მშვიდობიან მცხოვრებთა დაცვა ომის განმავლობაში რუსეთმა იკისრა.

**რუსეთისა და ავსტრიის განცხადება.**

რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა ოსმალეთის მთავრობას განუცხადეს, რომ ბალკანეთის საქმეში იგინი თავისუფალი მოქმედების უფლებას იტოვებენ.

**ომში ჩარევის საკითხი.**

ლონდონიდან იუწყებიან: ოსმალეთის ელჩის ნახვის შემდეგ, ედუარდ გრეი დიდხანს ებაასა ავსტრიისა, ბულგარეთისა და სერბიის ელჩებს. ჰფიქრობენ, რომ თათბირის დროს ლაპარაკი იყო ომში ჩარევის შესაძლებლობაზე, სანამ გადამწყვეტი ბრძოლა მოხდებოდესო.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

16—17 ოქტომბერი.

**ვენა.** დელეგაციის პოლონელთა წევრების დეპუტაციამ ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი და გააცნო თავიანთი გადაწყვეტილება. ბერტჰოლდმა აღუთქვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ჩეხიის სკოლების დაკეტვის საკითხის გამო გერმანელებმა დემონსტრაცია მოახდინეს. დაიჭირეს 4 კაცი.

**მადრიდი.** რკინის გზის სინდიკატი მუშაობაზე ხელის აღებას იმუქრება, თუ რკინის გზის მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებისთვის შეტანილი კანონ-პროექტი ძალაში შევაო.

**პარიზი.** პარლამენტი 23 ღვინობისთვის არის მოწვეული.

**ბუხარესტი.** შეადგინეს კონსერვატორების ახალი კაბინეთი, მაიორესკუს თავმჯდომარეობით, რომელმაც გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი იკისრა.

**პარიზი.** პუანკარემ და ციტონიმ დეკლარაციას ხელი მოაწერეს, რომლის ძალითაც მაროკო საფრანგეთის და ლივია იტალიის სუვერენიტეტს ქვეშ არის გამოცხადებული.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტთა და აკადემიის ამომრჩევლებმა აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად [illegible]-გრიმი.

**პეტერბურგი.** 15 ღვინობისთვეს დაიჭირეს გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია“.

**ოდესა.** სამხედრო-საოლქო სასამართლო არჩევს საქმეს 18 ინტენდანტისას, რომელთაც გარინის რევიზიით სამსახურში ბოროტ-მოქმედება ჰბრალდებათ.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით სამუდამოდ სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული არიან მიწათმომწყობ კომისიის მიწის მზომლები.

**მემკვიდრის ავადმყოფობა.**

**პეტერბურგი.** ოფიციალი ცნობა. ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. 16 ღვინობისთვე. დილის 10 საათი. ეხლა კარგაა. დილით სიცხე 36,9 გრადუსი ჰქონდა, მაჯის ცემა კარგი—120.

# უცხოეთი

**არჩევნები ნორვეგიაში.**

21 ღვინობისთვეს დანიშნული იყო არჩევნები სტორტინგში. ჯერ-ჯერობით აირჩიეს 31 რადიკალი, 6 სოციალისტი და მხოლოდ 16 წევრი მთავრობის პარტიისა. 58 ოლქში გიორგობისთვის დამდეგს ხელმეორედ არჩევნები მოხდება. 12 ოლქიდან ჯერ ცნობები არ არის მოსული. რაც უნდა იყოს ოპოზიცია სტორტინგში ძლიერი იქნება და მთავრობის მომხრე პარტია პარლამენტის უმრავლესობას არ წარმოადგენს. ძველი მთავრობა იანვრიდან იქნება და რადიკალურ სამინისტროს მხოლოდ მაშინ დასთანხმდება, თუ კაბინეთის სათავეში იქნებიან ყოფილი პრემიერი ჰუნარ კნუდსენი და იუსტიციის მინისტრი კასტბერგი.

**რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა ესპანიაში.**

ესპანიის დეპუტატთა პალატაში განიხილეს საკითხი რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვისა ესპანიაში. არა მარტო სოციალისტები, არამედ კონსერვატორებიც უსაყვედურებდნენ მინისტრს დანაპირის აუსრულებლობას, რამაც გამოიწვია გაფიცვაო.

**ჰოლანდიისა და შეერთებულ შტატების კავში.**

ჰოლანდიისა და შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკება სწარმოებს; მათ უნდათ კავშირი შეჰკრან იაპონიის წინააღმდეგ, ზონდისა და ფილიპეს კუნძულთა დასაცავად. ამ რიგად ამერიკისა და ჰოლანდიის ვაჭრობა-მრეწველობა ხსენებულ კუნძულებზე უფრო გაფართოვდება.

# რუსეთი

**კასოს ცირკულიარი.**

სახალხო განათლების მინისტრმა დაუგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს ახალი ცირკულიარი, რომელიც მერვე კლასის მოწაფეების წერითი გამოცდას ეხება. მინისტრი ცირკულიარში სწერს: „სხვა და სხვა სასწავლებლებში ხშირი მოვლენა ყოფილა, რომ აბიტურიენტებმა გამოცდამდე იცოდნენ თემა და გამოცდაზე უკვე დამზადებული თხზულებით მიდიოდნენო. ზოგიერთ გიმნაზიებში ძნელ და რთულ თემას აბიტურიენტები ადვილად განმარტავდნენ ხოლმეო, და ექსტერნებს კი ამავე თემის პასუხი უძნელდებოდათო. ხშირად ყოფილა ისიც, რომ მასწავლებელი მთელი წლის განმავლობაში მოწაფეებს ავარჯიშებდა ხოლმე ერთ განსაზღვრულ თემის ან ამოცანის გარშემოო. ამ პირობებში წერითი გამოცდა მნიშვნელობას ჰკარგავს.

ამისთვის მინისტრს ცვლილება შეაქვს 1901 წლის 11 მარტის ცირკულიარში, რომელიც წერითი ეგზამენებს ეხება. ყველა მასწავლებელმა, რომელნიც ერთ და იმავე საგანს ასწავლიან, უნდა წარუდგინოს სასწავლებლის დირექტორს 6—10 თემი, ან ამოცანა; შემდეგ დირექტორი ამათში ერთს შესაფერს ამოირჩევს. ამასთანავე ზოგიერთ სასწავლებელში ოლქი თვითონ მისცემს თემას ან ამოცანას: განსაკუთრებულ შემთხვევებში კი თვით სამინისტრო დაუგზავნის თემებს სხვა და სხვა სასწავლებლებსო.

**სოციალისტ-რევოლიუციონერების საქმე.**

12 ღვინობისთვეს მოსკოვის სასამართლო პალატაში სოციალისტ-

რევოლიუციონების საქმის გარჩევის დროს, ბრალმდებელმა სთქვა, რომ აზეფის გამოაშკარავების შემდეგ სოც.-რევოლიუციონერთა პარტია კი არ მისუსტდა, არამედ უფრო გაძლიერდა და ტერორისტულ აქტების მოხდენისთვის მზადებას შეუდგა.

## თეატრი და ხელოვნება

დღეს, 18 ოქტომბერს 1912 წელს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი წარმოადგენს **ვალ. შალიკაშვილის ახალ ორიგინალურ დრამას 4 მოქმედებად „გადაჭრილი მუხა“.** პიესა ლამაზადა და ლაზათიანად არის დაწერილი. შინაარსი აღებულია ჩვენი დაქსაქსულ მაღალ წოდების ინტელიგენტთა ცხოვრებიდან. ავტორის სურვილით, „გადაჭრილ მუხას“ სდგავს ვლ. ალ.-მესხიშვილი. იგივე ვლ. ალ.-მესხიშვილი თამაშობს უმთავრეს გმირის როლს. მონაწილეობს მთელი დასი.

**ქუთაისი.** ქუთაისის დრამატიული დასი ამზადებს ახალ ნათარგმნ პიესას „ქალი და დედა“.

14 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში დასდგეს ბისონის ცნობილი პიესა „უცნობი“. თარგმანი ნარკანისა. პიესა ხალხს ძალიან მოეწონა. ხალხი ბლომად დაესწრო.

ნება დართეს წარმოადგინონ ქ-ნ **ნინო ნაკაშიძის** ახალი პიესა: „ვინ არის დამნაშავე“ და **გ. ნუცუბიძის** ვოდევილი „მოტყუებული ბალდასარა“.

**ბაქო.** კვირას, 14 ოქტომბერს, ბაქოს სალიტერატურო წრემ წარმოადგინა **ტ. რამიშვილის „მეზობლები“.** მონაწილეობას იღებდნენ, გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა, ქ-ნი ქეთევან ანდრონიკაშვილისა და მ. ვიქტორელი. კარგად და შეგნებულად შეასრულა თავისი როლი ქ-ნმა ანდრონიკაშვილისამ. ქ-ნი მ. ვიქტორელი მშვენიერი ცქრიალა გოგო იყო ოლინკას როლში. ქ-ნი ლიახვისპირელი მუყაითი მშრომელი სცენის მოყვარეა, წინა წლებთან შედარებით, წარმატება ემჩნევა. მას არ გაუფუჭებია კნეინა კატოს როლი. ქ-ნი მენაბდე ეტყობა ცდილობს, რადგან როლი სულ ზეპირად იცის, ასრულებდა ტასოს როლს. ბ-ნი ამაშუკელი კარგი იყო ექიმ ფონ-ბილერის როლში, მხოლოდ როლის უცოდინარობა ეტყობოდა. ბ. ე. თალაკვაძეც კარგი იყო ილიკო მენაბდიშვილის როლში. ბ-ნმა ი. ბოხუამ მშვენივრად დაგვიხატა ლუკა სუთიძის როლი. ბ-ნი ა. ახობაძე ლუარსაბ გელოვანიძის როლში სუსტობდა. ახობაძე ნიჭიერი და გამოცდილი სცენის მოყვარეა და მას მეტი მოეთხოვება. რიგიანად შეასრულეს თავიანთი როლები გ. პავლიაშვილმა ექიმ გრუშნევსკისა, ა. ჭუმბურიძემ—სოსიკოსი და დ. ყიფიანმა—მოურავისა. ხალხი ამ წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო.

საჭიროა, წარმოდგენები გვიან არ იწყებოდეს. **პ. ლეჩხუმელი.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მისვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, სად. 5 ს. 30 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 8 ს. 18 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 10 ს. 30 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 4 ს. 35 წ. **ნარევი** № 106, ღამ. 3 ს. 57 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, ღამ. 2 ს. 24 წ. **სახ.** № 5, ღამ. 2 ს. 42 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 54 წ. **სახ.** № 4, სად. 8 ს 6 წ.

**ერევნისაკენ: საფ.** № 4/3, ღამ. 11 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, დილ. 11 ს. 10 წ. **სახ.-საბარგ.** № 6/5, სად. 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, შ 1 ს. 21 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 1 ს. 12 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 1 ს. 50 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 4 წ. **ჩქარ.** № 1, სად. 7 ს. 14 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 9 ს. 59 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 6 ს. 54 წ. **საფ.** № 4, ღამ. 9 ს. 35 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 4 ს. **ნარევ.** № 106, ღამ. 3 ს. 20 წ.

**ერევნიდან: სახ.** № 4/3, დილ. 6 ს. 4 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, ნაშუადღ. 3 ს. 32 წ. **სახ.-საბ.** დილ. ს. 32 წ.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9/10 ნ, დილ. 9 ს. 26 წ.

**მიხაილოვკიდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 12 ს. 22 წ. **სახ.-საბ** № 63, ღამ. 3 ს. 34 წ. **სახ.-საბ.** № 65, დილ. 10 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 1 ს. 17 წ. **სახ.-საბ.** № 69, სად. 5 ს. 57 წ. **სახ.-საბ** № 71, სად. 7 ს. 22 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, ღამ. 2 ს. 32 წ. **სახ.** № 79, დილ. 8 ს. 18 წ. **სახ.** № 81, დილ. 11 ს. 7 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 3 ს. 52 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, ღამ. 4 ს. 29 წ. **სახ.** № 78, დილ. 9 ს. 6 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 1 ს. 12 წ. **სახ.** 82, ნაშ. 4 ს. 59 წ. **სახ.** № 84, ღამ. 11 ს. 42 წ.

**ქუთაისიდან ტყიბულში: სახალხო** № 29/30, ნაშ. 3 ს. 27 წ.

**ტყიბულიდან ქუთაისს: სახ** № 27|28, დილ. 6 ს. 34 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, ღამ. 4 ს. 10 წ. **სახ.** № 4 п, 9 ს. 13 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 3 ს. 6 წ **სახ.** № 8 п, საღამ. 7 ს. 14 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п, შუადღ. 12 ს. 1 წ. **სახ.** № 7 п, დილ 5 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, სად. 6 ს. 3 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 4 ს. 22 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ, 9 ს. 17 ს. **სახ.** № 14, ღამ. 3 ს. 47 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 1 ს. 2 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 5 ს. 3 წ. **სახ.** № 15, ღამ. 10 ს. 27 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 3 ს. 51 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 3 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 16, ნაშ. 1 ს. 12 წ. **სახ.** № 65, სად. 7 ს. 18 წ. **სახ.** № 86, ღამ. 3 ს. 29 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, დილ. 10 ს. 39 წ. **სახ.** № 55, ნაშ. 4 ს. 2 წ. **სახ.** № 76, ღამ. 10 ს. 45 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 11 ს. 25 წ. **სახ.-საბ.** № 62, ღამ. 2 ს. 42 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 5 ს. 12 წ. **სახ.-საბ.** № 66, დილ. 11 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 68, ნაშ. 4 ს. 4 წ. **სახ.-საბ.** № 70, სად. 6 ს. 30 წ.

### გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 11 ს. 2 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 12 ს, 2 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 12 ს. 2 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 1 ს. 2 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 1 ს. 2 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **პარ.**, დილ. 5 ს. 2 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, სად. 9 ს. 2 წ.
№ 2. **ოთხშ.**, სად. 9 ს. 2 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** სად. 7 ს. 2 წ.
№ 2. **კვირ.**, სად. 7 ს. 2 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ.-დღე სად. 5 ს. 44 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 3 ს. 44 წ,
ირგვლივ მოსიარულე:
**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 3 ს. 44 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 4 ს. 29 წ.
**ენზელიდან** ორშ. და პარ., დილ. 8 ს. 44 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 5 ს. 44 წ.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461.

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. , 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **გ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ , 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.


## განცხადებანი

### ექიმ ნაგახარდიანის ქართველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბაგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. ხაბებით ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მუდჟირი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეგლარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანსაბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქოვანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.** 1078

### გალოსნოვა ძმ. ავსარქისოვებისა

**სადგ. ხრამი,** (კავკ. რკ. გზა).

ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **სამკაულო (დეკორატიული) ხეებს და მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Сера, З Ж. Д.) Аваркисову. 710

### ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ღირს 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. 1231

### ქირავდება სარდაფი

85 ოთხკუთხი საჟენი, ღვინის სავაჭროდ ან საქონლისა და მასალების საწყობად, **თათრის მოედნის მახლობლად,** პატარა სირაჩხანაში, № 13. ჰკითხეთ მეეზოვეს ალბერტს. 727.

### ფეხსაცმელები თომა დ. ჯანჯარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.



ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

### სხეულ ნერვიულ სისუსტისთვის

**უფრთხილდით სიყალბეს!**

რადგანაც **„სპერმინის“** იაფ-ფასიან მიბაძულებს ჰყიდიან, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის ყელით ჭამლობის შედეგისა, გულის ხნეულებისა (გულის კოჩი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების დადუნებისა, ალკოჰოლიზმი, ზურგმლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ **„სპერმინ-პელა“** აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ლაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

**სპერმინ-პელა**

და არ მისდიოთ მალამოებსა და სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა ულირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.




ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТ...
ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ья
ПОСТАВЩИКИ ДВОРА
ЕГО ИМПЕРАТОРСК. ВЕЛИЧЕСТВА
С.ПЕТЕРБУРГЪ
В.О. 7 ЛИНІЯ 18.

Метцль. № 108975. 1461.

### ინჟენერი ი. ს. კონდოევი

ტფილისი. ელისაბედის ქ, 164. ბაქოს ქ. კუთხე.

**ცემენტი** ასფალტი, ფუდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

**რკინის კოჭები, საქვაბე რკინები, საკუთხე რკინები, სახურავების რკინები.** (შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი: კანტორისა № 10—92 აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474




1553

### გამოსულია და იყიდება

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა“ | „ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | „ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება აკაკის თხზულებანი:**

| | |
|---|---|
| აკაკის რჩეული ლექსები ფასი | 10 კ. |
| — ალექსი | 10 „ |
| — ბაგრატ დიდი | 10 „ |
| — გამზრდელი | 5 „ |
| — გოგია მეჩონგურე | 5 „ |
| — გორის ციხე | 5 „ |
| — დათუნა გოცირიძე | 5 „ |
| — თამარ მეფე | 5 „ |
| — იგავ-არაკნი ნათარგმნი | 50 „ |
| — ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი | 10 „ |
| — მამლის ყივილზე | 10 „ |
| — ნათელა | 20 „ |
| — ნაცარქექია | 10 „ |
| — ორი პუბლიც. სტატია | 10 „ |
| — ოცნება | 10 „ |
| — სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე და საუბარი მამა-შვილს შუა | 10 „ |
| — სიმღერა | 15 „ |
| — ყვითელი სანთელი | 10 „ |
| — ქუთათლის სიზმარი | 5 „ |
| — ჩემი ნაწერები | 75 „ |
| — ჩემი თავგადასავალი | 1 მ.— „ |
| — წმინდა ნინო | 20 „ |
| — Избранныя стихотворенія въ переводѣ русскихъ поэтовъ | 20 „ |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ხელოვნურად შეზავებული

### სამკურნალო და ხილეულობის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ-სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

1407

### ე. ა. ცატუროვის დეპოში

შპალიერი

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალი სახიანი რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

**ფასები** 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.** 1400

—✦ გამოსულია და იყიდება ✦—

### ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

### გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა

**„გამცემი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა.

თევზის მრეწველნი **ძმ. ძმეველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა, და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

✦ შავი ხიზილალა ✦


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.